ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 276

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2024 წელი

გარდაცვალების გამო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის, დარეჯან ფხაკაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის
ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, დარეჯან ფხაკაძეს, გარდაცვალების გამო, ვადამდე შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულის თაობაზე ეცნობოს №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას. მასვე ეთხოვოს, კანონით დადგენილ ვადებში წარმოუდგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დარეჯან ფხაკაძის ადგილმონაცვლე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 11
25 - 04 - 2024 წ.